ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 24 ივლისი, 2020 წელი

დრო: 16:30 -18:30

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
2. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
3. ოლეგ შატბერაშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
4. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
5. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეურნეობათა ცენრი „ელკანა“

განსახილველი საკითხები:

1. "კვლევისა და განათლების მდგომარეობა აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში - დასკვნები საქართველოსთვის" მომხსენებელი ბ-ნი ოლეგ შატბერაშვილი;
2. COVID-19 პანდემიის გავლენა ეკონომიკაზე და მეწარმეობაზე საქართველოში; პოსტ პანდემიის პერიოდში აღდგენისა და შემდგომი განვითარების პერსპექტივები.
3. პოზიციის დოკუმენტზე მსჯელობა - კონსტანტინე ჟღენტი
4. დისკუსია მე-2 სამუშაო ჯგუფის სამომავლო აქტივობების შესახებ.

მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნეს ჯგუფის კოორდინატორებმა, დავით ცისკარიძემ და კონსტანტინე ჟღენტმა. მათ ჯგუფის წევრებს გააცნეს შეხვედრის დღის წესრიგი და განსახილველი საკითხები.

პირველ საკითხად, მეორე სამუშაო ჯგუფის წევრმა, ოლეგ შატბერაშვილმა, ისაუბრა განათლების საკითხებზე საქართველოში. მან წაადგინა კვლევის, "კვლევისა და განათლების მდგომარეობა აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში - დასკვნები საქართველოსთვის", პრეზენტაცია. მოხსენებაში დეტალურად იქნა განხილული აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების განვითარების დადებითი და უარყოფითი შედეგები კველევისა და განათლების კუთხით. საუბარი იყო ასევე განათლების სისტემის ხარვეზებსა და ჩავარდნებზე. განხილული იყო თუ როგორი არის განათლების საკითხებზე გაწეული ხარჯების პროპორცია დემოკრატიული და განვითარებული ქვეყნების დანახარჯებთან. ასევე საქართველოს მაგალითი შედარებული იყო სხვა განვითარებადი ქვეყნების სახარჯო პოლიტიკასთანაც. დასკვნის სახით აღინიშნა, რომ განათლების სისტემის შესუსტება ხელს შეუშლის და შეაფერხებს განვითარებას სხვა სექტორებშიც.

ჯგუფის კოორდინატორმა, კოკა ჟღენტმა, მეორე საკითხად განიხილა პოზიციის დოკუმენტი, რომელიც ჯგუფის სახელით უნდა იქნას დამტკიცებული. უკვე არსებობს დოკუმენტის სამუშაო ვერსია. კოორდინატორმა, ჯგუფის შეხვედრაზე, მოკლედ აღწერა პრობლემის არსი. დაწყებული 2015 წლიდან, ევროპულმა კომისიამ შეცვალა საკუთარი სტრატეგია და ევროკავშირსა და გაერთიანებული ერების სააგენტოებს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ყოველგვარი ტენდერის გარეშე, ENPARD -ის პროგრამების ძირითადი ნაწილის განხორციელების უფლება გადასცა გაეროს სააგენტოებს - „გაეროს განვითარების პროგრამას“ (UNDP), „გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას“(FAO) და “მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას“ (IOM). ყოველივე ამის შედეგად მოხდა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ევროკავშირის ეგიდით ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დიდი ნაწილის გამორიცხვა ადგილობრივი განვითარების პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობიდან. ამ გადაწყვეტილებამ უარყოფითი ზეგავლენა იქონია საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებზე და განსაკუთრებით კი ადგილობრივ „სსო“-ებზე, ვინაიდან პრაქტიკულად, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ადგილობრივმა „სსო“-ებმა დაკარგეს ყოველგვარი შესაძლებლობა რათა ღია ტენდერის პირობებში გაეწიათ კონკურენცია გაეროს ზემოთაღნიშნულ სააგენტოებისთვის და შედეგად ფაქტიურად გარიყულნი აღმოჩნდნენ ქვეყანაში ადგილობრივ განვითარების პროექტების განხორციელების პროცესიდან. პოზიციის დოკუმენტში მოცემულია პრობლემის მოგვარებისთვის საჭირო შესაძლებელი სცენარი. აღნიშნული დოკუმენტი გადაეგზავნათ ჯგუფის წევრებს, რათა შემოუერთდნენ და მხარი დაუჭირონ მას.

ამ საკითხის ადვოკატირებისთვის და ასევე სამომავლო თანამშრომლობისთვის, მნიშვნელოვანია დაიგეგმოს საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა ევროკავშირის დელეგაციასთან საქართველოში. მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორები ამ ინიციატივით მიმართავენ საკოორდინაციო საბჭოს.

სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, დათო ცისკარიძემ, ისაუბრა კორონა ვირუსით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების შესახებ. მან განიხილა ის ანგარიში, რომელიც სწორედ კრიზისის პერიოდში არსებულ ეკონომიკურ სიტუაციას ასახავდა და შედარებული იყო წინა წლის

ანალოგიურ პერიოდებთან. შეხვედრაზე განხილული დოკუმენტი, გადაეგზავნებათ სამუშაო ჯგუფის წევრებს.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ, სამუშაო ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე